ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი 30 აგვისტო 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
სააქციო საზოგადოება ,,სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის ------ მაისის №---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს სააქციო საზოგადოება ,,სილქნეტისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №204566978), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განკარგულების დანართში ჩამოთვლილი ქონების (გარე განათების კონსტრუქციის (ბოძი) წერტილები) 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს" შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (04.03.2022 წლის №06/03) შესაბამისად, რომელიც შეადგენს შეადგენს 145.0 (ასორმოცდახუთი) ლარს.

მუხლი 3. სააქციო საზოგადოება ,,სილქნეტმა" (საიდენტიფიკაციო კოდის №204566978) სარგებლობაში გადაცემული 29 (ოცდაცხრა) ერთეულ გარე განათების კონსტრუქციაზე (ბოძი) წერტილი გამოიყენოს, საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად, 1 (ერთი) ერთეული კაბელის გატარებისათვის, უსაფრთხოების ნორმების და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების სრული დაცვით. სამუშაოების შესრულების შემდგომ უზრუნველყოს აღდგენითი სამუშაოების წარმოება.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ. კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2023 წლის 30 აგვისტოს
№ ------ განკარგულების დანართი

სააქციო საზოგადოება ,,სილქნეტისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №204566978) პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ჩამონათვალი

N	მისამართი	ქონების დასახელება	გარე განათების კონსტრუქციაზე (ბოძი) წერტილების რაოდენობა	საკადასტრო კოდი
1.	ქალაქი ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	14	03.00.034
2.	ქალაქი ქუთაისი, აღმაშენებლის გამზირი №93-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	2	03.00.039
3.	ქალაქი ქუთაისი, თავისუფლების ქუჩა №103 და №101-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	2	03.00.073
4.	ქალაქი ქუთაისი, ცხინვალის ქუჩა № 6-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	2	03.00.025
5.	ქალაქი ქუთაისი, იოანე პეტრიწის ქუჩა, II შესახვევი, №2ა	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	6	03.00.072
6.	ქალაქი ქუთაისი, ზვიად გამსახურდიას გამზირი №1-ის (ჩიხი№12)	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	3	03.00.075
	სულ		29	

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახლეიშვილი